

# ც ი ს კ ა რ ი

1862

ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი.

წილია და შექმნა.

## წილები თსსულებით:

- I. —სიტყვა, თქმული ერთის სიტყვის  
უკვლესიაში.. . . . . გაბრძულ ეზისკობისა.
- II. —მოგზაურთ სადგური. . . . . გ. დიდებულადისა.
- III. —სიტყვა თქმული აღკვეცისა ზედ  
მონაწილისა. . . . . ანქიმ. გრიგორისა-ძიერ.
- IV. —ლექსები სსწა და სსწა შვერჯისა.
- V. —გორგის IX ქუთხა. . . . . თეიმურაზ ბატონისა-შვილისა.
- VI. —ერთადე სიტყვა «ცისკარზედ». თუნდადულისა.
- VII. —სსწა და სსწა ანბანი. (იხილეთ მეორე გვერდზედ.)

## ცუილისს.

კრესედიის ტიპოგრაფიაში.

# ც ი ს კ ა რ ი

ქ ა რ თ უ ლ ი

საღიბრატურო ჟურნალი.

გამოიცემის ი. კერესელიძის-მიერ.

ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი.

წელიწადი მეექვსე.

«თუ შეიყვარო სმენად,—შიითვალე, და  
უბგათო მიუბუტა ურ ი შენი,—ბრძენ იქმნე.»  
(წიგ. ისლ. სიჩ. თავი 6. მუს. 54.)

---

## ც ფ ი ლ ი ს ს .

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1862

Одобрено Ценсурою. Тифлиссъ. 30 Августа. 1862.  
Цен. Гайтмазовъ



თუნი ბოროტებისა და ბილწებისაგან; ყოველმა კაცმა უნდა განიკითხოს თავი თუნი განიცადოს გული თუნი და იტნას რა ცოდვა ბუდობს მას შინა, რა ნაკლულეკანება სჭირს მას.

ამისთვის შე მსუქს ძმანო დღეს მოკლეთ გითხრს თქვენ რა ნაკლულეკანება და რა ცოდვა შეგნიშნე საზოგადოდ ამ ქვეყნის მცხოვრებთა შორის. ზიზღი და უსაშინელები ჩვენს ცოდვა ის არის, რომელი სიყვარული და ერთობა ჩვენ შორის არ არის; არ დარჩა თანხმობა და კეთილ განწყობილება მოყვასთა შორის, აღარ გვასრებს უმთავრესი მცნება ღმერთისა: შეიყვარე მოყვასი ვითარცა თავი შენი ამ მტრე ყამის განმავლობასა შინა რაც აქ შე მოკსუღვარ, ისრე არაფერი არ მავრებებს და მარებს რეგორც საზოგადო განხეთქილება, მტერობა შური შურისძიება და სიძულილე, რომელი სუფევს ქვეყანას ჩვენსა, არათუ მუზობელთა შორის აღარ არის სიყვარული, და მოყვრება, არამედ ნათესავნი და მასლობელნი უშეტყვად არიან განხეთქილნი; ძმა ემტრება ძმასა, მამა და შვილი კვლარ სდგებიან ერთად; დედანი ხშირად სწყევლიან შობილთა თვსთა, ძენი აღარ ემორჩილებიან მშობელთა თვსთა, საშინელ არს და საზარელ წარმოდგინება ამის ყოველისა ამოდენი ჩივილი, ღვა და მტერობა, რაც ამ ზატარა ქვეყანაში არის, არსად არ გაგონილა ქვეყანაზე: სხუა ქვეყნებში ძმანო, რეგორც შეიძლება, რომ მამაშვილს ანუ ძმა ძმას გაყვაროს. ზიზღად რომ სიძისხელი არის; და მეორედ რჯანის დაცვა, თქვენც იცით რომ რაც მეტი მუშაკი არის რჯანში ის რჯანი უფრო გაკეთებული არის და აშენებული, ვინა აქ რეგორც შეიძლება რომ ძმან ძმასთან გასძლას; თუ რეგორც ძმები კარგათ იქმნებიან ერთმანეთში რძლები მაინც ვერ გასძლებენ ერთად კრადღეს.

ამ მიზეზისაგამომდინარე აწინა დანაშაული და ღირსი; თუმცა ღმერთის მადლით, მიწა და მამუელი გვაქვს ფრთხილად ნაკეთიერად, მარცხი მანაც ღირსი გავით. ამ მოქმედებებში მამუელში რომ იდგნენ გინამე უცნაო თესვნი ძლიერ მდობარ და გაკეთებული იქმნებიან. ცხად არის რომელი ჩუქნი-ნიმე უთანხმოებას და განხეთქილებას აწინა თუ სუფიით წარმოვიდგინო, აწინა აქცია, ქუჩისაგან გაგვითქვას და დაგვამდა.

მეორე ჩუქნი გნება და ჭიჭი უმეტესად კეთილშობილთა შორის არის უსაქმობა უქმად დროების განტაცება. ახლა მინათს ისეთი დროება და უსაქმი შობილთა, ყოველი კეთილშობილი გაცი უნდა დადგეს რომელსამე საქმეს და იყოს შრომაში დანიშნულთა თანა თვის შრომითა თვისთა. ძველ დროში კეთილშობილთა არა შეძლათ სხვა საქმე რამე გაკეთებინათ, თვნივე რომლისა და ღირსობისა, გინამდგან შინა მრავალთა მტკიცებას იყო შევიწროებული ქუჩისა ჩუქნი და არა ჭკობდათ მათ დრო, თვნივე რომლისა, გარდა აწ მოგვცა მოვლობა. შრომა და მუშაობა არა დაამდალებს გაცხად, არამედ უქმობა უმეტესად წინაღონს და დაამდალებს კეთილშობილთა წოდებისა, უქმად მყოფი ადრეად იხამს ყოველსა ცოდვასა. გონება და გული მისი მიდრეკილ არის ყოველისა ბილწებისადმი. სოფელ გაცი რომელსა არა აქვს მოცალება და ყოველთა არა საქმეში ადრეად ვერ შესცდება. რამათა გინამრავლად კეთილშობილთა შორის უნიგობა და სუფიის ხდობა, რამათა გვესმის მრავალნი შემარცხინებულნი საქმენი მათ შორის, თუ არა უქმობისაგან.

შესამე ჩუქნი ცოდვა ის არის, რომელი არა გუგავს სიმართლე არც ღამათაში და არც ყოფილსაში, ყოველთა ბრუნდეთ ვლამარობთ და ბრუნდეთ ვიტყვი.

მაცხოვარი გავსწავებს: ნეტარ იყვნენ რომელთა შიშად და სწუხროდეს სიმატლისათჳს, რამეთუ ივინი განძნენ. ასრე უნდა უყვარდეს კაცსა სიმატლელ რაგორც მშობრს კაცს სურს და უყვარს ჰური; მაგრამ სად არიან ჩუქსნი მყოვარენი სიმატლისანი? ყველანი მას ცდილობენ, რომელ დამალენ სიმატლელ, ანუ დაახსილენ იგი. საქმეა იქამომდე მიადწია, რომელ მესმა ვითომც ზოგნი მწოდებულნი მოწმედ ფიცის ქუჭმეტა იტყვან სიტყუესა; მანა ამას არ დაუჯერებ. ისრე რაგორც განუჭლებს სუსნიდისი, ისრე რაგორც განუწყობს ღმერთი, რომელ ფიცი დაგვაუწყდეს, იქმნება თქუნიც განიგონიან და თუთ ჩუქსნი შორის არის მრავალი მაგალითი რომელ ამომწყდარა ზოგი რჯახი სიტყუით დაფიცებულა.

ბოლონ ძმანო. ამასაც დავამატებ თქმულზე რომელ მესმა მე თქუნი შორის ვითომც იყოს მკითხვარა ამასე გავლი მაქუნი ვითხარა, რომ წმინდანი მამანი აღუგრძალე ვითართა ზიარებასა, და ვინც შავა მკითხვართან თაქმის სჯულზე ვარს უთქუამს ვინც ჭკუიანთ იფიქრებს და კარგათ გამოსტდის იგი მალე მიხუდება რაგორც ატყუებენ მკითხვები მოკლე ჭკუის კაცთა. ბეკრი გამიგონის მე რომ მათგან იყოს წახდენილი კაცი და ბეკრი ავთამუთფი მეჭადარი მათითა უმეტრებითა.

ვეტადოთ ძმანო რომ სჯული ქრისტიანი აღვასრულეთ ხაქმით, და გამოვახინოთ ჩუქსნი სარწმუნოება უფთავტევაში. გვასსოვდეს რომ მარტო სარწმუნოება ვერ გვაცხოვნებს, თუ არ შეგვერთეთ მასთან უფთავტევატევათილი ქრისტიანსე ტუდათ მცხოვრება უარესად აჯავრებს ღმერთს, ვიდრე მოუნათლავი უსჯულყო, და უარესადცა დაისჯება, რომელიც ღმერთმან განაშორდოს ჩუქსნი გან ამინ.

---

მოგსაურო სადგური უდაბურს მინდორში.

ერთს დეკემბრის ღამეში, როდესაც, როგორც იტყვან, ქუჭყანა ღუთისა თვალით არა ჰსჩანს, და კორიანტელი ღმუჯის და ბოროტებს; როდესაც სარკმელთ გაუდისთ რასა-რუსი, და ბებერი, ძწოლარე ფესხედ ოსრავს და იწერს ჰირჯუარსა,--ერთს იმისთანა ღამეში მიდიოდა უსალსო მინდორზედ ემაწული სტუდენტი სემინარიისა; მიდიოდა იგი შობის დღესასწაულზედ ქალაქიდან, სადაც იგი სწავლობდა,--სოფელში, სადაცა მამა მისი იყო მღჳდლათ. ქალაქიდან სოფლამდინ იყო ორმოცი ვერსტი; სტუდენტი გამოვიდა ქალაქიდან დილით

ადრე და იმედოვნებდა საღამოზედ  
 იმავე დღისა იგი იქნებოდა შინ. იგი წინ  
 და წინ წარმოიდგენდა თუ რა სიხარულით  
 მიეკებებოდნენ მას მისნი მოსუცნი დედა  
 მამა, თუ რა სიხარულით გაიუღებდნენ  
 თვალნი მისის დისა, და რა რიგათ გამო-  
 სცვდებოდნენ სახლიდამ ორი ჰატარა მი-  
 სი ძმა, რომელთათვისცა მას ჰქონდა ჯი-  
 ბეში ორი ჰატარა იაფი სათამაშო; მაგრამ  
 შუადღიდამ ამოვარდა ქარნი, ატყდა კორი-  
 ანტელი, და სტუდენტმა უთოვოთ დაჰკარგა  
 გზა, ამიტომ, რომ დასდგა ღამე და სამ-  
 შობლო მისი სოფელი ჯერ კიდევ არსა-  
 და ხჩანდა. მდგომარეობა საწყელის სტუ-  
 დენტისა იყო საშინელი. ბოლოს დაბნელდა და  
 საშინელი კორიანტელი სცემდა მას გულში და  
 ზიწში და უვსებდა კისერს თოვლით. თითქო  
 ცდილობდა უთოვოთ წაექცია; თუ მართ-  
 ლად დაწყებულიყო, მაშინ ქარი რამდენსამე  
 წუთში წახურავდა მას მთელს ზვინს თო-

ვლისას და დამარხავდა მას თოვლ ქვეშ.

მოგზაური გამოდიოდა უკანასკნელის ღონიდან, ძლივს გადაადგმიდა ფეხსა და თითონ აწ იცოდა საით მიდიოდა, მუხლები ეკეცებოდა, ფიქრები ერეოდენ და გრძნობანი მისნი აღარ მოქმედებდენ, იგი თუთქმის ველარცა რას შედავდა, აღარც აწ ესმოდარს; მას უნდოდა დამოწიილებოდა თავისს ბორბტს სვესა, დაცემულ იუთ მიწასედ და დაემინა; მაგრამ ქქონდა კიდევ იმდენი გრძნობა, რომ თუ იგი დაემოწიილებოდა იმ სურვილსა, მაშინ აუცილებელად იგი დაიღუპებოდა. ათი წამი კიდევ ებრძოლა სხსო წარკვეთილის გრძნობით ტაროსსა: ძალდატანებით ამოაძრობდა ხოლმე ფეხებსა ღრმის თოვლიდგან, მაგრამ მით გსასკი ცოტას იმოკლებდა. ბოლოს დაჰკარგა უკანასკნელი წვეთი ძალისა და დასუსტებული დაეცა თოვლსედ. დაიღუპებოდა საწყალი სტუდენტი აუცილებ-

ლად, თუ რომ ვიღასაც ძლიერს ხელს არ აეუენებინა და არ წაეუენა იგი ძალათ. უაზროთ, უკრძნობლად სტუდენტი მოზღვდა უხილაგსა კელსა, და ხუთის წამის შემდგომ იგი გაჩერდა ერთის დიდის ჩინებულათ განათლებულის სასახლისა წინ, საიღამაც ისმოდა ხმა მუსიკისა და მხიარული ხმიანობა სტუმრებისა. სტუდენტი ამღვრეულად გრძნობდა, თუ როგორ აიუვანა იგი უცნობმა კეთილ მოქმედებამ კიბეზედ, გააღო მის წინ კარი და თვთქმის ძალათ შეაგდო იგი ტყილსა და განათლებულს ოთახში. დიდის სიბნელიდგან დიდს ნათელში გარდასვლა იყო ისემოულოდნელი საწეალის სტუდენტისათვის, რომ იგი ჰკარგავდა უკანასკნელს გრძნობასა, და ის იყო უნდა დაცემულიყო ჰოლზედ, მაგრამ იქ მეოუთა სტატეს კელი და დასვეს იგი მდივანზედ.

მალე გრძნო სტუდენტმა თუ ვითარსანუკემო სიტყომ დაუარა მას გაშემებულთ

სსეულის სახსრებში და გაახილა თვალი. მის წინ იდგა მძჷწნიერი ტურფა ქალი; იგი თავისს ტფილს კელებში უთბობდა მას გაუნულს კელებს და შეჭურებდა მას თვალებში ისრეთის ალერსით, ისრეთის სინაზით და მონაწილეობით, რომ მაშინვე შეუეარდა მას იგი.

შენ ძრეელ დაღალული ხარ, და იმი-ტომ უთოვოთ კეშივება, უთხრა ბოლოს მან სტუდენტსა: წამომეკვ მე, მე შენ გა-ჭმევ საჭმელსა.

სტუდენტი მდუმარებით ემოწილებოდა იმის ალერსიანს ხმასა; მას ეჩვენებოდა, რომ ის იყო ხმა მისის დედისა: მძჷწნიერად მორთულსა ტფილსა და ნათელს ოთახში, რომელშიაც მან შეიევანა სტუდენდი, იყო გაძლილი მრავალი სტოლი, და იმათზედ ნადიმობდა მრავალი ხალხი. სტუდენტს რცხვენოდა შესვლა იმ დიდს შეკრებულებაში თვისის ძველის გა-

წუწვილის ტანისამოსით; მაგრამ, როდესაც უცებ შეისედა დიდს სარკეში, რომელიც ეკიდა კედელზედ მან შენიშნა, რომ ტანისამოსი ჭკონდა მას გამოცვლილი, უთო-ვით იმ დროს, როდესაც იგი იწვა უგრძნობლათ.

აი ადგილი, რომელიც მე შენ მოკიმი-სადე, ჩემო სასურველო სტუმარო, უთხრა სტუდენტს მშვენებმა ქალმა, მიიევანა რა იგი დახურულს სტოლთან, დაჯექი აქა და შეექცე როგორც გინდოდეს.

სტუდენტმა დიდ ხანს არ იხვეწია მშუტნიერი ქალი, იგი მართლათ გრძნობდა განუხრამელს შიმშილსა, და საჭმელები, რომელიც მოჭკონდა მასთან მშუტნიერს ქალს, ქრებოდენ ერთის წამის ეოფაში. თითონკი ქალი უჯდა ზირდაზირ სტუდენტს სტოლზედ დაუუდებული და სტებებოდან იმის მშუტნიერის მადით; ბოლოს სტუდენტი გაძლა. მშუტნიერი ქალი ჭკითხავდა,

თუ, ზომ არა სურს მას კიდევ საჭმელი.

მე დამჩნა მხოლოდ ერთი რამ, მიუგო სტუდენტმა, ესე იგი, შემოგწირო მსურვალე მადლობა შენის კეთილ სულობისათვის და დედობრივის მსრუნველობისათვის. მითხარ, რას უნდა გიწოდებდე შენ ჩემო მხსნელო? მიწოდე მე დედად, თუ შენ ეს სახელი მოგწონს, მიუგო კეთილმა ქალმა, და მე შენ გიწოდებ სოლმე ძვლად; მაგრამ მადლობის ღირსი მე შენგანკი არა ვარ, ამიტომ რომ, რაც მე შენ მოგეცე ჩემი არ არის, მეც ისეთი სტუმარი ვარ აქ, როგორც შენ, და თუ შენს გულში არსებობს მართლად მადლობა, მაშ მირიქვც კეთილის უფლისადმი ამა სახლისა, რომელმაც ააშენა ეს სახლი ამ უდაბურს მინდორში საწყვალთ მოგზაურთათვის, განათლა, გაატფო და გამსადა მათთვის სასმელ საჭმელი. მან შეგნიშნა შენ სიბნელეში, გამოგიძვირა კელი შემწეობისა, შე-

მოგიყვანა აქა და ჩამაბარა მე ზრუნვა შე-  
ნზედ როგორც საკუთარსა მჯლზედ.

ვინ არის ის უფალი სახლისა, და  
სად უნდა ვიპოვნო მე ისი? მიჩუქნე მე  
იგი სასურველო დედავ, გული ჩემი სავე-  
სე არის მისდამი მადლობითა.

გეტუობა შენ კეთილის გულისა ყოფილ-  
ხარ, უთხრა მას დედობილმა, უნდა გით-  
ხრა მე შენა, რომ უფალი ამ მძუწნიერის  
სახლისა არ ეჩუქნება არაოდეს სტუმრე-  
ბსა, და არავის ჩუქნგანსა ის არ უნა-  
საეს ჯერა.

მამ რა რიგათ უნდა შევსწირო მე  
იმას მადლობა? ჰკითხა მას სტუდენტმა,  
ჩუქნ მართალია მას ვერა ვხედავთ, განა-  
გრძო ქალმა, მაგრამ ისკი ჩუქნ ეველასა  
გვხედავს; მან ისიც იცის, ჩუქნ რასა-  
ცა ვფიქრობთ ანუ რას განვიზრახავთ, და  
ის ხედავს შენს გულში მადლობას, რო-  
მელსაც შენ გრძნობ, მაგრამ ცოტაა მად-

ლობა სიტყვებით, საჭიროა მადლობა საქმითაც.

რით შემიძლიან გარდასდა მადლობისა მე საწუაღს სტუდენტსა? შენ თითონ იცი, რომ ეს ტანისამოსიც, რომელიც შედ მაცვია ჩემი არ არის.

ნუ გრცხვენთან მაგისი, მულო ჩემო! აქ, უველანი, ვისაც შენ ხედავ, ჩაცმულ და მაძღარ არინ იმის უხვს ანგარიშზედ. რასაც აქ ხედავ, სულ იმას ეკუთვნის, მაგრამ ეს მაინც ვერ დაგიშლის შენ უჩუჭუნო საქმით შენი მადლობა უფალსა ამა სასლისას.

მითხარ მე დროზედ, რით შემიძლიან? მე ჩემის სიცოცხლით ვაღდებულვარ იმისი; მე მზა ვარ მივსცე მას ჩემი სიცოცხლე თუ საჭირო იქმნება; აბა სსჭა რა შემიძლიან.

იგი ითხოვს ძრეელ მცირესა, უთხრა მღიმაურებით მმუჭნიერმა ქალმა, გასსოვ-

დეს ნიადგ, რომ შენ აქ სტუმარი ხარ; ნუ მოახდენ ნურავითარს უწესოებას აქა; მოიქეც ისე, როგორც შეეფერება ჰატოსანს კაცსა; იუაჲ ზრდილი, ალერსიანი, ვეელას მორჩილი და დააჯალე ვეელა სტუმარს რითაც შეგეძლოსთ,—აი რას ითხოვს მეუფე ამა სახლისა.

ღმერთო ჩემო! მიუგო სტუდენტმა: ეს არის ვალი ეოვლის ჰატოსანის კაცისა, რომელიც შედის სხვის სახლში სტუმრათ. ახლა ეს მითხარით მე, თქუწნ, სასურველო დედაჲ: დიდ ხანს შემოდლიან მე ეოუნა ამ მშუწნიერს სახლში? და ამ კითხვაზედ ცოტა ათრთოლდა ემაწული კაცი, ამისათჳს, რომ იმ დროს იმან გაიხედა ფანჯარაში და შენიშნა, რომ ღამე იყო ბნელი და სასწარელი.

ჯერ ადრეა მაგაზედ ფიქრობდე, მიუგო დედამ; ეოვლის სტუმრისათჳს მოვა თავისი დრო აქედამ კასულისა; უხილავი

ფრთიანი მოსამსახურე უფლისა, დანდებს  
 თვისსა სელსა მას, ვისაც მოუა დრო წასვ-  
 ლისა და გაიყვანს სახლიდამ. მაგრამ ნუ  
 გეძინიან საუვარელო ძვლო, დაუმატა დე-  
 დამ, შენიძნა რა, რომ სტუდენტმა მწუხა-  
 რებით დაღუნა თავი; ჩუტნს უფალს აქუს  
 სხუაც მრავალი ამისთანა სახლი; მოდი გა-  
 იხედე ფანჯარაში და შესედე უშიშრათ აი  
 ამ ღამეს. ხედავ რამდენი სასამთლე ანა-  
 თებს იქ შორსა? რიცხვიც არა აქუსთ  
 მათ! ისინი ვეელა ამისთანა სახლები არი-  
 ან, როგორც ესა. ვისაც აქ თავი უჭი-  
 რავს როგორც რიგია, იმას უხილავი მო-  
 სამსახურე გადაიყვანს ერთს იმ მძუტნიერს  
 სახლში; და ვინც ივიწეებს ზრდილის  
 სტუმრის ვალდებულებას, მას იგი დაუტე-  
 ვებს ტანტალობდეს ამ ბნელს უდაბნოში.  
 ჩუტნი სახლის ჰატრონი არის მდიდარი,  
 შემძლებელი, კეთილი უკუნისამდე. ვინც მას  
 მიენდობა, როგორც მე მამასა, არა ოდეს

არ დაუტევებს არც აქა და არც იქა.

გული ჭაბუკისა აღივსო ცხოველის მადლობით და კეთილის მოწიწებით უხილავის მეუფისსადმი, და იგი სწუხდა მხოლოდ ერთხედ, რომ მას არ ძალუდო ნახვა მისი, და ცრემლიანის თვალით დაფარდა მის ფერხთ წინ.

იცხოვრე ისე, როგორც მას სურს, განაგრძო მძჷწნიერმა ქალმა; ნუ დაივიწყებ ნურაოდეს მას; გიუვარდეს იგი და აღასრულებდეს მის ნებას; გიუვარდეს მისნი სტუმარნიც, როგორც საკუთარნი ძმანი; მსახურებდეს და შეეწეოდეს მათ რითაც შეგძლოს და მაშინ შენც თითონ ნახავ მას, როდესაც დრო მოვა ამისი.

შენ თითონ გინახამს როდისმე ის, ჰკითხა მას სტუდენტმა...

მე აკვირებოდა, რომ აწავის აქ მცხოვრებს იგი არ უნახავს მეტჯი; ჩუწნ ვკვლავართ აქ სტუმრათ, და უცლით აღვიღებს

აიჟა სტუმრებს, როდესაც აქედამ გავდი-  
ვართ.

საიღამა სცან შენ ესე უოველივე, რაც  
ესლა მე შენ მიაძბე?

ჭირჭლად მე ეს მაკრმობინა ჩემმა  
საკუთარმა გულმა, მიუგო მძუწნიერმა ქალ-  
მა, მეც ისე, როგორც შენ, ვეძებდი მეზო-  
ვნა ის, ვინც ღირსი იყო მაღლობისა,  
ცხოვრებისათვის ამ მძუწნიერის სახლში,  
სითბოსთვის, სასმელ საჭმელისა და იმ ბე-  
დნიერებისათვის, რომელსაც ჩუწნ აქ გამო-  
ვსცდით; მე ვზოვე მაშინ ერთი მოხუცი,  
რომელიც სცხოვრებს აქა იმ დროდღვან;  
რაც ეს სახლი აუშენებიათ; მას უნახავს  
სახლის ჰატრონი ჰირნჰირ და უანობს  
ამას ეველას, ვისაცკი სურს.

აი ის მოხუცი! შესედე: ის მოდის აქა;  
მე მინდა შენ გავაცნობო იმასა.

ამ დროს წარმოსდგა მოხუცი ჭალარა  
როგორც თეთრი ძურა, გაწნა მაღალი და

მხნე. იგი იყო ჩაცმული გაცვეთილის სავერდის ტანისამოსით, რომელიც ჰკავდა სამღებლოს ტანისამოსსა, და იყო დაუღებელი უაჯარჯენსედ; შიშველი, ძალადი შუბლი აჩუჭნებდა, რომ ის უნდა ყოფილიყო დიდი ბრძენი; ლურჯი დაფიქრებული მისი თვალები იუურობოდენ ალერსით, თუმცაღა იუენენ ცოტათ დაღონებულნი; თეთრი, როგორც თოვლი, წვერი მისი იმღებოდა მისს განიერს გულსედ.

წმინდა მამავ. უთხრა მოხუცსა, აკოცარა კელსედ, სტუდენტის დედად წოდებულმა: აი ჩემა მე; გევედრები ნუ დაუტევებამას, როგორც მე არ ვიყავ დატყვევებული მენგან ჩემს სიღოცხლეში, რაც აქა ვარ; ასწავე მას იგივე, რასაც მე მასწავებდი; ნუ მიუშვებ მას, რომ მან დაჰკარგოს გზა, და ოდესაც მოვიდეს დრო მაგისი, მიიყვანე იგი მეუფისადმი სახლისა; იყავ ამის მამად, მეგობრათ და მოძღვრათ; იყავ მაგი-

სთვს ჩემს მაგიერთ; დრო ჩემი მოახ-  
ლოვებულარს.

შენ კარგათ იცი, უთხრა მოხუცმა  
მშუტნიერს ქალსა; რომ მე არავისთვს  
უარი არ მითქუამს ჩემს მფარველობასა და  
რჩევასი; მაგრამ იცი ისიც. რომ უველას  
არა სურს სარგებლობდეს ჩემის მფარვე-  
ლობით, მაგრამ მე იმედი მაქვს შენი მუ-  
ლი იქმნება მსგავსი შენი; მაშინ ჩუტნ, ერთ-  
მანერთს აღარ დაუმორღებით და მე ჩავა-  
ბარებ მას ფრთოვანს მოსამსახურეს მე-  
უფისასა.

დრო არის ახლაკი ჩუტნ დაუმორღეთ  
ერთმანეთს, უთხრა მშუტნიერმა ქალმა სტუ-  
დენტსა; წაჰყევ წმიდას მამასა, არ დამორ-  
ღე მას არც ერთს წამსა; ეგ გაჩუტნებს  
შენ ვოველსავე, რაცკი აქ არის. გიუვარ-  
დეს ეგ და ემორჩილებოდე მას, საუვარე-  
ლო მუჯლო.

ხმა მისი იმ დროს თრთოდა. სტუდენ-

ტმა შეხედა მას. სახე მისი იყო სევდიანი და საძინლათ ფერმკრთალი. მძვდობით, უთხრა მას მძუწნიერმა ქალმა, გაუძვრა რა კელი თვისი, ცივი, როგორც უინული. მძვდობით. იყავ ბედნიერი!

სტუდენტს უნდოდა ეტაცნა კელი მძუწნიერის ქალისათვის; მას ემძიმებოდა დაძმორება ამასთან, მაგრამ იგი აღარსად იყო, განქრა უცეფ.

დაწვა დიდი სევდა საწეალს ჭაბუკსა, რომელმაც მიისეღ-მოიხედა და შენიძნა, რომ სულ უცხო უცნობნი ჰიწნი უდგენ წინ და იმათში ერთი მსოლოდ ნაცნობი მოხუცი, რომელიც ჩასცქეროდა მას თვალში აღერსით და მონაწილეობით.

წავიდეთ მჯლო ჩემო, უთხრა მან ჭაბუკსა; მე მიუვარდა დედა შენი და იმედი მაქვს ჩუწნც ვიქნებით მეგობრები: წავიდეთ, მე გაჩვენებ შენ უოველსავე, რაც აქ არის: ნახე უოველივე და აღიდე სიბრძნე

და მოწყალება ამ სახლის მეუფისა. ნუ ინა-  
ღვლებ შენს დედაზედ; გაშიგონე ვეელა  
რაც გითხრა და მოვა დრო, როდესაც  
შენ კიდევ ნახავ იმას.

სტუდენტი გაჭეუა მოხუცსა და დაიარეს  
ურცხვნი ოთახნი დიდის სასახლისა და  
იყო განცუფრებული მორთულაობით, სიმდი-  
დრით და სიმშენიერით შენობისა. ძალა-  
ნი ჰქონი ლაჟვარდის ფერნი იუვენე შეკ-  
რულნი თაღებათ და ისე ოსტატურად  
თითქო აღიოდნენ ჰირდა ჰირ ცაში: იგი-  
ნი იუვენე მორთულნი ოქროს და ვერცხ-  
ლის ვარსკულაჲებით და მსუბუქნი ღრუბე-  
ლნი იუვენე გაფენილ აქა იქ კელით ჩი-  
ნებულის ხურათ მოძღვრისა. კედლები ძა-  
თნი თითქმის სრულიად სხნდნენ; ისინი  
იუვენე დაფარულნი მშენიერის ცხოველის  
მცენარეებით, ზოგნი მათგანნი ჰევაოდნენ  
და ზოგს ესსა ნაყოფი, მათს ტოტებზედ  
გოგმანებდენ იმჯათნი ქუჭუნის მურინველნი.

მშუტნიერნი სურათნი, ნახატნი ისეთის  
 ოსტატობით, რომ თვალს ატეუებდნენ, იუვენ-  
 ნენ ძრავალნი შადრევანნი, აგრილებდნენ  
 ჭყარსა, სავსეს კეთილ სურნელებით; ზოლე-  
 ბი იუვენენ მოფენილნი ძრფასის რბილის  
 ხალიჩებით.

— უოველივე, რაც გაეკეთებინა სახლის  
 ჰატრონს, იყო მშუტნიერი და აჩუტნებდა  
 იმის დიდს გონებას და განუზომელს კე-  
 თილობას; მაგრამ ერთი რამ იყო იქ  
 განსაცუფრებელი და შესახარებელი; ძრავა-  
 ლნი იქ მეოფნი სტუმარნი იქცეოდნენ  
 საძაგლათ.

ერთს ოთახში, დიდს სტოლსედ ოცამ-  
 დინ კაცი იქამდინ ურიგობდენ, რომ ემა-  
 წული სტუდენტი შედგა და განცუფრებით  
 დაუწეო ეურება ხან მათ და ხან თავის  
 წინამძღოლს კეთილს მოხუცსა. ძრფასი  
 ღვნო იყო დაღვრილი სტოლსედ და ია-  
 ტაკსედ; ისმოდა მხოლოდ სიმთვრალის

უგუნური ლაზარაკი და გინება; ზოგი ერთნი მოლხინეთაგანნი, მთვრალნი იწვნენ სტოლს ქუჩაში. ზოგი ერთნი ძლივს სულს ითქმინენ გაძლომისაგან, და ჭქონდათ კიდევ ხელი გაშვერილი ძვრფასის სასმელსა ჭმელისაგან.

ღმერთო ჩემო! სთქუა შეწუხებით სტუდენტმა, რას ვხედავ მე ამას! ვითარ საშუხაროდ უნდა იეოს ეს მეუფისათვის ამა სახლისა; ვითარ უგუნურათ იხარჯეს აქ ძვრფასნი ნიჭნი და უხვებანი კეთილის მოქმედისა?

იმას არა შურს ნიჭნი, ამისთვის, რომ მას იგინი აქუს ურიცხვნი, მიუგო მოხუცმა, მას მხოლოდ ეწუაღვის ეს უგუნური; ძნელი სანასაგია მისთვის ამათი უგუნურობა და გარყვნილი ზირნი, და ძნელად გასაგონია ამათი უგუნური ლაზარაკი; იგი ჭსწუსს მხოლოდ მასხედ, რომ ესენი ხმარობენ მის უხუც ნიჭს მისთვის, რომ მიემსგა-

გავსონ ჰირუტეგთა უგუნურთა.

მეორეს ოთახში ნახა სტუდენტმა სანახავი უარესი. იქ სტუმრებს მოსლოდათ ჩხუბი სახლის ჰატრონის ვერცხლის ბადებზედ და იქამოდვე განცუფრებულ ივენენ, რომ არა ღჯნო, არამედ სისხლი იღვროდა როგორც მდინარე: უგუნურთ ეჭირათ დანებია ახლობდნენ ერთი მეორეს, ქიშპობდენ მასზედ, რომელიც არავის მათგანს არ ეგუთვნოდა, რასაც იგინი უნდა მალე დაშორებოდნენ საუგუნოდ.

ერთს ოთახში შენიშნა ეპაწვლმა კაცმა ერთი სასარელი მოხუცი, რომლისაც უგუნურება გარდაეძებოდა ეოველსავე, რასაც კი კაცი წარმოიდგენს გონებაში: მიხრწნილი, მთრთოლვარე მოხუცი იგი იჯდა კუნჭულში, და ცდილობდა დაეძალა ხროვა ვერცხლის სტაქნებთა, თასებთა და თეფშებთა. იგი თუთქმის კვდებოდა შიმშილით, მაგრამ მანც ეშინოდა მოშორებოდა სა-

უნჯესა, რომ იმ დროს არავინ მისულიყო და არ წაეღო იგი.

შესედე სადამდინ აღის კაცის უგუნურობა! უთხრა სტუდენტს ჭალაჩა წინამძღოლმა; სუთის წამის შემდგომ ეს მოხუცი აქ აღარ იქმნება; ვერ წაიღებს აქედამ ვერც ერთს თასსა და ვერც თეფშსა; ეველა აქ უნდა დარჩეს, გარდა მის მოხუცისა, შესედე როგორ მკელსავით უეურებს ეველას, ვინც ახლას მიდის იმასთან, როგორ ეშინიან მას, რომ არავინ შეესოს იმის საუნჯეს.

აწა მიმხედი მისა, რომ კარშემო უფლებდა სიმდიდრე და განცხრომა, ემაწვლმა კაცმა განკვრევით შენიშნა მრავალნი უბედურნი, შიშველნი და მშიერნი კაცნი, რომელნიც შურით უეურებდენ სანოვაგით სავსე სტოლებსა, რომელზედაც შეეკცოდენ ის უბადრუკნი, შეუძლიათ გამოიმეტონ მათთჳსაც ღუკმა ზური. კანა ესენიც ისეთნი სტუმარ-

რნი არ არიან, როგორც სსჟანი? ჭკითხა ჭაბუკმა მოხუცსა. დიად, ეგენიც ისეთნი სტუმარნი არიან, როგორც სსჟანი, მაგრამ სედავ როგორ ექცევიან მაგათ ისინი, რომელნიც მაგათსედ ძლიერნი არიან. მეუფემ ამ სასლისამ მიანდო სტუმრებს სასლი და შესედე რასა შერებთან!

რატომ არ გარეგს მეუფე აქედამ ურიკო სტუმრებსა, დაუძახა ჭაბუკმა, როგორ ამღევს იგი ნებას ამდენის უგუნურებისა და უწესობისას?

მეო ჩემო, უთხრა მას მოხუცმა, მეუფეს უეუარს თვისი სტუმრები: იმან იცის თუ როგორ ბნელი, ცივი და საშინელი ალაგი მიელის ეველას, რომელიც ამ სასლის კედლებს დაშორდება, და ამისათვის ებრალვის ისინი მას, მოელის, რომ იქნება ესენი ოდესმე განკეთილდენ, გამოიცვალონ, ემაწვლს მოაკონდა თუ რას განსაცდელში იყო იგი, თითონ თოვლიან მინდორ-

ში და ათრითოლდა შიშით.

მართლად შესაბრალებელი არიან ესენი უთხრა სტუდენტმა, მაგრამ წავიდეთ მოვაკონოთ მათ თუ რა იუშენენ უწინ, ანუ რა არიან ესლა.

რით ვაღიბებულ არიან ისინი სახლის ჰატრონისადმი, და ბოლოს რა მოეღის მათ. სახლის ჰატრონი გარეკს აქედამ.

კარგი, მოხვანე მათ, მათნი ვაღიბებულებანი; შეეწიე მათ, რომელნიც დაჩაგრულ არიან, მაგრამ გახსოვდეს, რომ ბევრს ჰპაობ შენ დაბრკოლებას; ნეტავი იცოდე შენ თუ როგორ უევაწს თხსნი სტუდენტნი მეუფეს სახლისას; მე შენ გიამბობ რა მოხდა ერთხელ აქა რამდენსამე ხნის წინეთ. როდესაც მეუფემ სახლისამ ნახა, რომ უწესობა საშინლათ განმრავლდა და რომ სტუდენტთა იწიეს ერთი მეორეს აკლებს და სოცვა, რომ ძლიერნი აიწროებდენ უძლურთა და უველამ დაივიწია მე-

უფე ამ სახლისა, მაშინ მან გამოგზავნა თავისი მხოლოდ შობილი ძე, რომ მან მოაგონოს მათ თვისნი ვალდებულებანი და უჩუქნოს მაგალითი თუ როგორ უნდა სცხოვრებდენ ივინი.

ძე მეუფისა გამოცხადდა აქა წენარის სტუმრის სახით, ის არა ჯდებოდა სტოლზედ მდიდრებთან, და შექლებულებთან, არამედ სცხოვრებდა ღარიბთ საზოგადოებაში, შეეწეოდა უბადრუკთა, კურნებდა უსასუიღლოდ სნეულსა, აჭმევდა მშიერთა, ეველას მოაგონებდა მეუფეს სახლისას; მას უნდოდა დახსნა ეველასი გამოურიცხავად იმ საზარელისა მხვედრისაგან, რომელიც მათ მიელოდათ. თავის არა დიდის ხნის მეოფობაში აქა, მან არათუ არავის რა აწეენინა, არათუ არავის რა წაართვა, არამედ ეწეოდა ეველას ვინცუი საჭირობდა მის შემწეობასა. არა ეოფილა და არცა არავინ იქმნება იმისთანა, რომელ-

საც ეცხოვროს ქუჩუნანსედ იმაზედ წენა-  
რად და მძვდათ; იმისი სალანჩარაკო იყო  
მხოლოდ სიყვარულსედ, უნდოდა შეერიე-  
ბინა ეველა, და ეველანი დაესლოვებინა  
თავის ძამასთან, მაგრამ იცი რით ვარდუ-  
ხადეს მას ამ გვარს სტუმართა? განბო-  
როტებულთა იმის სიტყვებით, რომელმაც  
იყო მრავალი მწარე მათთვის ჭემპარიტება,  
იგინი შეგებენ და მოკლეს იგი მისთვის,  
რომ იგი ვითარცა სრული უფალი ეოვ-  
ლისა, სცხოვრებდა აქ ვითარცა კლასაკი;  
მისთვის, რომ მას უნდოდა გამოხსნა ევე-  
ლასი! მოქცევა ისე, როგორც ის იქცეოდა.  
შენ უეჭველია არ შეგიძლიან, მაგრამ ეცა-  
დე რაც შეგეძლოს მიხამო მას.

სიტყვები მოხუცისა ღრმად ჩაენერგა  
ჭაბუკსა გულში, მძვდი სასე მეუფის მისა  
განუძორებლად იდგა მის თვალწინ. შეე-  
რია რა სროვასა შინა კლასაკთა, მოხუცთა  
ბრძებთა და კოჭლებთა, სტუდენტი ცდილო-

ბღა შესწეოღა რითაცკი შეეძლო! დიდ ხანს  
 დასდევღა იგი მოხუცსა, და გადადიოღა  
 ერთის ოთახიღამ მეორეში და ცდილობღა  
 შეერიკებინა უკმაყოფილონი, და მოეკონე-  
 ბინა მათთჳს მეუფე სახლისა, რომელიც  
 მათ დაევიწინათ; ივენენ იქ იმისთანანი  
 რომელზედაც იმოქმედეს სიტყვებთა და მა-  
 კალითმა ჭაბუკისამ, და კიდევ გამოიცვალ-  
 ნენ ისინი; გარნა ივენენ იმისთანანიც,  
 რომელთაც ამაუთ შეურაცხებით უარჳევებს  
 რჩევანი ჭაბუკისა; ზოგი ლანძღუდენ მას,  
 ზოგნი დასცინოდენ; გამოსჩნდენ სტუმრე-  
 ბში იმისთანანიც, რომელნიც უქნევდენ ჭა-  
 ბუკსა რაც მოხუდებოღათ კელში და უნ-  
 ნოღათ დაკვრა მისთჳს თავში ანუ სხეუ-  
 ლზედ; ესრედ ღრმათ სწეულავღა მათ სიტ-  
 ეუა ჭეშმარიტებისა! და როდესაც ჭაბუკი  
 მონღომებღა სოლმე მაგიერის კარდახ-  
 დასა, მაშინ მოხუცი მოაგონებღა სოლმე  
 თჳთ მას თუ ვითარ ძემ მეუფისამ თჳნიერ

დრტვინვისა მოითმინა ცემანი, შეურაცხე-  
ბანი და თუთ სიკუდილი მათგან, ვინც იხ-  
რდებოდა იმისის მშობლის უხვებით.

საშინელმა ხმიანობამ ერთს ოთახში  
შიიზიდა ეურადღება ემაწულის სტუდენტისა  
და მისის თანამოგზაურისა; მათ შეიხედეს  
იქა და ჰპოვეს სისხლის ღუჩის ჩხუბი,  
სანოვაგოთ სავსე სტოლი იყო წაქცეული  
ნამტვრევებს ბადების და თეფშებისას ეკ-  
რეთვე სხუა ვერცხლის ჭურჭელს ქელვი-  
დენ იქ ფეხებით მაჩხუბარნი; ზოგნი აგ-  
ლეჯდენ ერთი მეორეს თმასა, ზოგნი ჰკ-  
ბენდნენ ერთმანერთს როგორც ძველნი;  
უველას ეჭირა კელში გალესილი დანა;  
იატაკსედ ევარნენ ზოგი დახოცილნი და  
ზოგი მძიმეთ დაჭრილნი, რომელნიც კვ-  
ნესოდენ საცოდავთ ფეხებ ქვეშ მაჩხუბა-  
რთა. ჭაბუკმა დაჭკარვა ფერი როდესაც  
ნახა ეს სამწუსარო სანახავი. უველასედ  
მეტად გული მისი მოსწულა ერთმა დედა-

კაცმა რომელიც იღვა მუსლხედ კაწეწი-  
 ჯლის თმით, დასეულის და სისხლში გას-  
 რილის ტანისამოსით და ცდილობდა დაე-  
 ფარა ჰატარა თვისი შულები, რომელნიც  
 შეშინებულნი და ფერ მკრთალნი ეკროდენ  
 მას მაგრათ გულში. უბედურს დედას უნ-  
 დოდა გამოსულიყო როგორმე ოთახიდან  
 მაგრამ იქიდან მოუოლებული კარებამდინ  
 იყვნენ გაბმულნი მახსუბარნი, რომელთაც  
 დანები ელავდენ ჰხერში, და ეძინოდა,  
 რომ ვინამე მძიმე დანა არ დასცემოდა  
 მისს საუვარელს შულებს. იგი უჯროდა  
 ხმა მადლა და უძახდა სახლის ჰატრონსა.

ჰაბუკს ეჩვენა თითქო უსილაჟმა ხმამ  
 უთხრა მას: «წადი და უშუჭლე!» მან ბე-  
 რი აღარ იფიქრა; გაულო სროვა მახსუ-  
 ბართა, და ვერა შეშინიძნაჟმა თუ რა რი-  
 ვათ სცუოდენ ამის ტანსედ დანები, მივი-  
 და საწეალს დედასთან და გამოიყვანა  
 იგი მისის ჰატარას შულებით.

როდესაც იგი იყო მეორეს ოთანში, მა-  
შინ გამოსსნილი სტუნდენტისაგან დედაკაცი  
მივარდა, დაეცა იმის მუხლის წინ, და  
მიიკრა რა შულები გულზედ, ცრემლიანი,  
ეუბნებოდა მას მადლობას, მოხუცი, წინა-  
მძლოლი უმაწვლის კაცის, იღვა იქა და  
უეურებდა მას ალერსიანად და ბოლოს  
მღვიმეპარებით უთხრა მას: შენ შეასრულე  
შენი საქმე, ახლა შეგიძლიან დაიბინო მო-  
სვენებით.

იმ წამში სტუნდენტმა იკრძნო ძლი-  
ერი ტკივილი გულში, და როდესაც დაი-  
ხედა გულში, და მისის განიერის დაჭრი-  
ლობისაგან გადმოდოდა ნაკადული ცხელის  
სისხლისა, იმ დროს მუხლი მოჭკუწთა  
მას და უთოვოთ დაეცემოდა იატაკზედ,  
თუ რომ ის არ დაეჭირა მოხუცსა და არ  
დაეჭირა მოხუცსა და არ მიესვენა თავის  
განიერ გულზედ.

«მე ვკვდები,» იფიქრა უმაწვლმა კაცმა

და იმ წამში დანახა თვს წინ ფრთოვანი ჭაბუკი განსაცუფრებელის მძუნინერებისა, ჩაცმული სპეტაკის თეთრის ტანისამოსით. ფრთოვანი ჭაბუკი უშვერდა ემაწვლს კაცსა კელსა და ეუბნებოდა: «შენ შეასრულე შენი საქმე, ესლა წამომეყვ მე, მეუფე სახლისა მიგიწოდს შენ!»

გამოუთქმელმა სასიამოვნო გრძნობამ დაუარა ძარღვებში ემაწვლს მომაკუდავსა, იგი აკანკალდა და დაიუჯრა სიხარულის ხმით, დაიუჯრა და..... გამოეღვმა!

მის წინ ნაცვლად ანგელოზისა იღვა მისი კეთილი დაჲ, დაეჭირა იმისი კელები; თავი მისი იღო გულზედ მამისა, მოხუცებულის მღვდლისა; ხოლო დედა მისი ორის ჰატარა ვაჟით იღვა მუხლზედ ხატის წინ და ეკედრებოდა ღმერთსა, რომ მან დაუბრუნოს მას უმფროსი საუვარელი შვილი. სტოლზედ, რომელიც იღვა ხატების წინ და ენთო კანდე-

ლი, იღო დაბადება გაცვეთილის სავერ-  
დის უდიანი.

მადლობა ღმერთსა, ძლივს არ მოეკე  
გონებას, დაიუჯრა დამ, როდესაც შეხედა  
რომ მისმა სასურველმა ძმამ გაასილა  
თვალები.

საჭიროა აქ აღწერა თუ რა აუწერელს  
აღტაცებაში იუვენ იმ დროს დანა-  
რჩენნი მისნი მახლობელნი?

უმაწვილი კაცი როდესაც მიდიოდა თო-  
ვლიანს მინდორში, დასუსტდა და დაეცა;  
ის; უეჭუჭლია, იქ უნდა დაღუპვილ იყო,  
მაგრამ იმ დროს ერთმა გლეხმა კაცმა,  
რომელიც მიდიოდა იმავე დღით მარხილით  
ნახა ისა და როდესაც სცნო გრძნობა  
დაკარგულს უმაწულს კაცში შული თვისის  
მრევლის ძღუდლისა, ჩანდო იგი მარხი-  
ლში და მიუტანა ჰირდაჰირ მის მამას,  
და იმ დროდენ ერთის საათის განმავა-  
ლობაში მოჰყავდათ იგი გრძნობაში სრუ-

ლიად მისთა მასლობელთა.

ემაწვლმა სტუდენტმა იმის შემდგომ დიდხანს იცოცხლა. მაგრამ არა ოდეს არ დაუვიწყრია თავისი სიზმარი: მას უოველ-თვს ეჩუწნებოდა, რომ ეს სოფელი არის მხოლოდ სტუმართ სადგური, რომლისაც კარს გარეთ მიგველის ჩუწნ მისი უხილავი ზატრონი.

დაასრულა რა კურსი სემინარიისა, სტუდენტი ეკურთხა მღუდლათ და იუოკეთილის მოქმედი თვის მრეველისა. უოველი უბედური, ღარიბი და მკელობელი უეურებდა მას ვითარცა საკუთარს მშობელსა; მას არა ჰპურდა უკანასკნელი გროში კეთილის საქმისათვის, და თუმცა იუოთითონაც ღარიბი, მაგრამ არა რაღა შურდა რაც გააჩნდა. როდესაც სხუანი აუვედრიდენ მას მისს უკუნურს უხვებას, მაშინ იგი მიუკებდა ხოლმე მათ: ესე უოველივე არც ჩემია არც შენი; უოველივე

ესე ეკუთვნის მეუფეს ქუჭენისასა; ჩუჭნ  
აქ ვველანი ყართ სტუმარნი და უნდა  
ვშველოდეთ ერთი მეორეს.

აი ასე ძლიერათ ჩაებეჭდა ჭაბუკსა  
სულში ის სიზმარი.

გ. დიდებულიძე.

სიტყუა აღკვეცასა ზედა მონაზონისასა.  
თქმული დაჳით-გარეჳის უდაბნოსა შინა,  
მისივე წინამძღვრის, არქიმანდრიტის გრი-  
გორის მიერ.

«მოკედით ჩემდა უოკელნი მასჳრალნი და  
ტურთ მძიმენი და მე განგისვენო თქუქს.»  
(მათე, თავი 11. მუს. 28.)

სიტყუთა ამით მოძიწოდს ჩუქს მაცხო-  
ვარი და მსსნელი სოფლისა იესო ქრისტე  
განსვენებასა შინა თჳსის ძღუთაებისასა,  
ფითარცა დაურთავს დასასრულ, რამეთუ:  
«უღელი ჩემი ტკბილ-არს და ტვირთი ჩემი  
სუბუქ.» (მათე 11, 50).

არა არს ტურთი ესე მძიმე, ოდესცა კაცო  
განჳერეტს გონებითა თჳსითა; არამედ სა-  
სურველ არს და ტკბილ. კაცო მიწისაგან

შექმნილი მიმოეკვეთება სოფელსა ამას მსწრაფლ წარმავალსა და გონიეს, ვითარცა დაადგრა საუკუნოდ. არა, ნურგინ გონებს ამას, ვინადგან სოფელი ესე საწუთრო და ამაო არს და ყოველი მკის წარვალთ ამიერ; რამეთუ ვითარცა თივა განხმეს იგი.--ამას ზედ იტუჯს წინასწარ-მეტყველი და ფსალმუნთ მკალობელი დავით: «ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღე» (ფსალ. დავით **89**, მუს. **4**).

ესრეთ სიზმარ არს ცხოვრება ჩუწნი; მაშა მე გულის-ხმა ვჭყოთ უმჯობესი, და-უსრულებელი და საუკუნო ტკბილი ცხოვრება, რომელსა შინაცა წარვლეს წმიდათა და ყოველთა ნეტართა, ვითარცა აწ ვხედავთ თვალითა ჩუწნითა და ვუწეით საფლავი წმინდისა მაძისა ჩუწნისა ფრად მოღვაწის დავითისა, რომელმანცა კლდოვანსა ალაგსა ამას შინა განვლო დღენი ცხოვრებისა თვისისანი, ყოვლის მოთმინები-

თა, და ჩუწნცა თანამდებ ვართ, რათა მოვიდოთ სახე მისი შეძლებისამებრ ღონისძიებისა ჩუწნისა; არა მან დაუტევას ასურეთი და შეუდგა კვალსა მონაზონებისასა; არა დაუტევას წუთი სოფლის გემოგება? ეგრეთვე ღუთის მოყვარებით აღსავსე, მოვედ შენცა საუვარელო მჯლო, განემორე მსწრაფლ წარმაგალსა და სორცთელსა ამას სოფელსა და შეიმოსე ძალი ძაღლით, რომელსა გეგულვების უძაღლეს ჟოფა სულიერად! მოვედ და შეიმოსე, სახე იგი, რომელსა ზედა ანგელოზთა გული უთქმამთ ჭვირობად! მოვედ მჯლო და შეიმოსე და განიფრთხე და ნუწარას ორგულებ, რომელსა ზედა ჟოველნი წმიდანნი მამანი და ნეტარნი დამოკიდებულ იყვნენ; ისმინე მჯლო, დღეს გუნდთა ანგელოზთა უხარისტ, და ჟოველნი წმინდანი განსცხრებიან ზე აღვანებასა შენსა; სოლო ეძმაკნი ფრიად ჭმუნვარე არიან. დღეს ანგე-

ლოსთა უხარისთ ეოველთა სეცისა ძალთა  
 თანა, რამეთუ სასე ეკე, რომელსაცა შეიმოს  
 აწ, ანგელოსებრივად წოდებულ არს: სოლო  
 ეშმაკნი სირცხვილეულ იქმნებან! ვითარცა  
 იტუვის ზირი ცხოველი: «წარწემენდული  
 ცხოვარი ჰხოვოს, ბეჭთა იტურთოს, მამასა  
 მიაწთვას და სეცისა ძალთა შერთოს და  
 აცხოვნოს იგი». თუმცაღა ჩუწნებრ  
 მოწმუნეთა და სასოთა აქუსთ  
 რადჲე სორციელი ვნებანი; გარნა  
 მაცხოვარი ჩუწნი განსწმედს მათ და შთან-  
 თხევს ფსკერსა შინა ქვესკნელისასა. სოლო  
 ძადლი სეგარდამო მისცემს სინარულსა და  
 შუებასა მერმესა მას საუკუნესა. თუმცაღა  
 წარმოვიდგინოთ ჩუწნ დატეკება ამის  
 სოფლისა, იხილე მოთსრობა იობისი,  
 რომელაცა შთაგვაგონებს ეოფასა მოთმინე-  
 ბათა შინა. რაოდენსა შუებასა და სიმდიდრესა  
 შინა იყო, ვითარცა იტუვის მუნვე,  
 რამეთუ «არა იყო კაცო მსგავს მისსა

ჭეშმარიტებით». სოლო დღესა ერთსა ყოველივე დაუტევა: სახლი, ცოლი, მკლნი და სიმდიდრე ფრიადი. ესე იგი არა რად შერაცხა მოკლება მათი თჯსაგან; არამედ გული თადითა მინდობილებითა საღმრთო გაცნებაზედ მარადის იტეოდა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი, ჭეშმარიტი, სულგრძელ და დიდად მოწყალე, მან მომცა და მანვე მიმიღო; იყავნ სახელი მისი კურთხეულ. ესე ყოველივე დაითმინა მისთვის, რომელ მოელოდა საუკუნოსა განსვენებასა, თუმცაღა დასასრულ არა იქმნა მოკლებულ არცა ქუჭენიერ საშვებელთაგან, რომელიცა ღმერთმანვე დაადგინა თჯსავე საცხოვრებელსა და უმეტესსადა შედა, გგრეთვე დაჯილდოებულ იქმნა და მიწყენილ შეცისასადა საშვებელსა წინაშე დიდებისა მღვთაებრივისა. განიხილეთ გონებითა, საუვარელნო, კაცი ღუთისა ალექსი, რომელმან დაწინდებული ბეჭედი თჯსი დაუტევა სასძლოსა თჯსისა,

დაფარულად გავიდა სახით თვისსა ერთსა  
 თვისკანსა ალაგსა და რაოდენი სიმდიდ-  
 რე დაუტევა სახლსა მამისა თვისისასა და  
 იღუძალ სცხოვრებდა თვალთა მძობელთა  
 თვისთასა უხილავად, მრავლის შეურაცხებით  
 მრავალთა წელთა. ვითარ გონებთ, მძანო  
 და მჯლნო ჩემო საუვარელნო, სიზმარ  
 იყო ანუ მართალ-არს, და უკეთუ მართალ  
 და ყოველივე ჭეშმარიტ, მაძა შენცა დღეს  
 შეიმოსე მაძა, დაიდგ თავსა შენსა ჩაფსუტი  
 იგო ცხოვრებისა, რათა სძლიო მტერთა  
 მანქანებათა, სიტუქსამებრ მოციქულისა ჰავ-  
 ლესი; ადვილთ უღელი ქრისტეს ღმთისა  
 იესოსი, ფრიად ტკბილი, რათა ვჭვბოვთ  
 განსვენება სულთა ჩუწნთა უკუნითი უკუ-  
 ნისამდე. ამინ.

---

## სუმბული და მწირო.

(თ. ნიკ. ბარათაშვილის ლექსებითგან:)

### მწირო.

სუმბულა, სად არს ფერფენება შენი სანამო,  
რომ შენსა მჭურჭეტელს არ დაახნდა დილა, საღამო?  
მარჯვ, სადა არს სუნი შენი, სანამო და ნელი,  
რომელით ათრობდა სიცოცხლის ჟამს ღამაწი კელი?

### სუმბული.

მწირო, რომ ხედავ მოკვლებივარ ჩემს სამშობლოს გულს.  
ჩემთ სწოროთა ყვავიდით. მშუტნიერს ცას და ჩემსა ბულ-  
ბულს?

აგერ მანისი აყუაუებს ტურფად ბუნებას;  
მოკა ბულბული და დუსტკენს სიყვარულის ხმას,  
ხალა მე ხმული ბნელსა სადგურს და სეკდიანსა,  
ვერდა ვიხილავ ჩემსა ტურფას და ჩემს შტოსანსა.

მწიკი.

ნუ თუ ვერ ქმობ აქ სანაცვლოს, ვერც რას სააშურს,  
 სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს,  
 სადაც კაცი შენს შვენებას. ესრედ ინახავს,  
 რომ მზე ვერ გაჰგნობს, ვერც სიტყვე უკვილს დაგზ-  
 რავს?

ს უ მ ბ უ ლ ი.

შაგრამ მარქვ რა არს ჩემთვის სახლი დიდ მშენებნიერი?  
 ვით გააღიმებს ჩემს შუენებას ხმული ქაერი?  
 არღა მეკლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;  
 არღა მეცემის დილით გუფსა სიტოცხლის ნაში,  
 გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უაღესებს,  
 და მაუფლის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს.

მწიკი.

სუმბულა ტურთავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,  
 მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მეუღარი.  
 ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა კელსა,  
 რომ მისი სუსხი ვერ შეგიბრუნებს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი.

ქე მწიკო, სოფლად უოკელსა აქუს ჟამი და ბოლო;  
 მაგრამ ამას ვჭსწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო.  
 სამთრით ბუნება არა ჰქუდება, — სეკდით იმოსვის,  
 რა თავის სატრფოს გაზათხუფსა განუშორების —  
 და მეის ვითარის შუენებითა გუფავ შეიფურცელის,  
 რადეს მერცხალნი ახარებენ მისკლას საუფარლის!!!

ახ, როდის ვნახო შეცა კვლად ჩემი ბუღბუღი,  
 რომ განვიშლლო კვლავ სიტყურთვით მისი სუმბული.

მ წ ი რ ი .

მშველბით, წავალ მეც მოკეპბნი ჩემსა ყვავილსა.  
 ისიც შენსავით განაშორეს სამშობლოს კელსა!  
 ჭამ თუ მასცა უდროოდ აჭვნობს უწყალოდ გელი,  
 და არღა მომხუდეს სუნი მისი, ჭირთ უკუყურელი.

1842 წ.

მთხოვარა—გლახაკი.

... ბოგში ვიყავ დედამამ დამეხოცა,  
 გავიზარდე, ვსთქვ აწ ღმერთმა დამელოცა,  
 გავისარჯე—და ერთი-ათათ მომცა;—  
 მეც შევიქენ ოჯახისა პატრონი...  
 მოგახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი:

—დატრიალდა ჩარხი ჩემის ბედისა,  
 (თუ მეწვა ცოლვა ჩემის დედისა):  
 გადამეწვა მე, ერთს დამეს. სახლგარნი,  
 შიგ დამეწვა ცოლმუჯდი, ძროხა, ხარნი;  
 მეც ყვავილმა წამაქცია, დამსურა,  
 ბატონებმან (1) მიბატონეს ასე რა,

(1) იმერეთს, გურიას და ოდიშს, ყვავილს—ბატონე-  
 ბათ უწოდებენ.

თვალთ სინათლეც გამაცალეს, გამძარტუქს;  
 მეზობლებმა სულ ერთიან გამზარეს.  
 თულა დამჩნა მტირე რამე ჭონება...  
 მივჯრს. შემდეგ როგორ შემჩნა გონება!...  
 ბოლახს, ერთს დღეს. დრო რომ იყო ბინდისა,  
 გელთ ავიღე ყავარჯენი შინდისა,  
 შეშის ურმის თვეების ჭრიალს გამოვუყე,  
 ქალაქს ტფალისს მათხრუკარად შემოვუყე.  
 მას აქეთ, მე, აქ, ქუჩებში, დავლოღე,  
 მოწყალების თხრუნას მე ძლივსდა ვბოღე.  
 დრეობათა ჭარიშხალთა დამბერეს,  
 თმაც მათეთრეს, დამაჭენეს, დამაბერეს.  
 სიღარიბემ წელში ხუთათ გამღუნა,  
 ჭირმა, სკუდამ, დამცა, დამაძაბუნა.  
 ჩემსედ გლახა ქუჩუანსედ არ დადის,  
 საზუარივარ, სიკუდილს ვნატრობ მარადის.  
 საუდარს დაუალ თუთქმის ყოველ გჯრასა,  
 სხუა დროს ვბდივარ ერთის კედლის ძირასა.  
 უქალმანო, უმარჯლო, თავშიშველი.  
 ძვრათ მადლარ, ხშირად მშიერი, სკელი;  
 მკერდს არ მწუდება დაბლუჯილი მუხდერი (1)  
 თაგსედ დამდის: წამს, თოვლი, ხან მტკერი!

(1) მუნდერი—მოკლე ჩასაცმელი რუსებთან, ზი-  
 ზუნის მსგავსი და ზოგი—ახალუნისავითმოყვანილი:  
 ადრინდელი მუნდრები იყო წელამდის და წინ კალთები  
 არ ჰქონდა.

სუთის წლის წინ ზურს ვსჯამდი ხუმრობითა,  
შევაქცევდი გამლეულ მასხარობითა:  
ამ გვარებში ძღვევენ მოწყალებას,  
გლახაკებსკი არა აქნესთ შეწინარება!  
რა ხუმრობა კვლარ შევსძელ ცოდვილმა,  
სულ შემიზერო მე შიმშილისა ძილმა...

—ზოგიერთი მოიგონებს მკრედილის სულსა,  
სულთაობას სადილს მომცემს და თუღსა,  
მაგრამ მტირეთ, რომ არც გუგს ქნუღს, არც გუღსა...

—ოუ ცხონდება მკრედილი ერთის ჭამითა,  
მაშ აცხონოს დმურთმა იგი ამითა!

ერთხელ ქუცნოთ მოკაზმული, მდიდარი,  
ყანაბალის აჯილდამუდა მჯდარი,  
მოაქროლებს, ამაყად იუფრება,  
გროში კსთხოვე, უთხარი: «მეჭირებთა»  
დამატაკა ცხენი, ჩამომევიღია!...

კლავი მომტედა, — იმან გაიღიმილა!..  
ერთი ვინცლა კარსკრულავებით და ჯრუბით  
გაკსებული მოდიოდა კარკრითა,

მოკასხენე: «ხრისტა რადი, (1) ბატონო!»

—«ოსტაკ! ბოღ დასტ! ტი ზოღუჩიშ ზატომო!» (2)

ასე კგდივარ ვიძახი უზატონო:

—«გუტი გლახა შეიბჩაღე, ბატონო!»

(1) ხრისტარადი — ქრისტეს გულისათჳს.

(2) ოსტაკ! (დამუთხოვე!); ბოღდასტ — (დმურთი მო-  
მცემს); ტი ზოღუჩიშ ზატომო. — (შენ მიიღებ შემდეგ).

ვინც გაივლის ფეხებს დამიბარტყუნებს,  
და იძახის: (ასე ამითვალწუნეს) —

— «დაკა მაგას თავში ჩაუფარუნე!..»

— რისთვისა მტემ აბა ჩემო ძამიავ?

სამი დღეა ჰური ან მიჰვამია! —

მომტემ რასმე? — ვითომც საწყდარს სამთლები,

ანას მომტემ — ცემას რას შემარტლები?! ..

ზოგი ერთი, სულ მართული ხავერდით,

მობძანდება ჭაკრს მოაზობს მკვერდით,

ამაყობს და იკლანკება წელშია,

მე ჰურისა ვისთხოვ ის ქუას მიღებს კელშია!

უფალმან ჭსოქჴა: » გაიკითხეთ გლახაკი.»

— ქრისტიანნო! ან გაძეკსთ დიდი ხარკი,

რამ ხანდისხა მიბოძოთ თითო ფარა:

— შემობრალეთ, შიმშილმა გამამწარა!!...

თ. რაფიელ ერისთავი.

აღარა ვხედავ წარსულს დროებას,  
სად კელმწიფობდნენ გპირნი მეფენი,  
ქართველთ ერთაგან, მათ წინ მხნეობას,  
ვინც იუვენეს ლომებრ მტერთა მძლეველნი!

მეფენი იგი, ლაშქრით წარსულნი,  
 საქართუჭლოდთ, საბერძნეთ კერძოთ,  
 იპერობდნენ წმინდა ადგილთ მისრულნი,  
 იერუსალიმს და მის მხრის ერდოთ!

თუძცა შემდგომთ წეულთ მტერნი გვმ-  
 ლავრობდნენ,

განვიასლებდენ დღეთა მწარეთა,  
 მაგრამ მცხოვრებნი მტკიცედ მედგრობდნენ  
 და დაიცვაუდნენ თჯსთა არეთა.

როს განგუმეუდა ირაკლი ჩუჭნი,  
 მტერნი ოთხ კერძოთ ქართველთ მოძარტ-  
 დნენ;

მხნეობით სრული, მკვრცხლადა მდევნი  
 ოსმალთ, სპარსთ, ჭარელთ, რისხუას და-  
 მართდნენ!

აწ გვესმის ხმები ადგილთ ომების,  
 დამონავებით ქვეუენების ჰერობა,  
 ვითარცა დროებრ ვახტანგ მკელ ლომის,  
 თამარ, ირაკლებრ, უძიძარობა.

უტეოთ მათვე ურთიერთ ბრძოლას,

თუთ რჯულობითნი უგუან ქვევანი,  
 რა უძობეს არს მისჭდნენცა უველა.  
 და მაშინ იგრძნან თვისნი ვნებანი.

ჩუტნ ვსთქუათ, მფლობელი იუერიისა,  
 კეთილმორწმუნე კელმწიფე დიდი,  
 რა მფარველ იქმნა ჩუტნის ერისა  
 მოგვცა ნუგეშად, დროება მძუდი.  
 ალექსანდრემან გვრგვინოსანმან,  
 მსწრაფლად დაიპყრო მრთლად დაღესტანი,  
 მოსვენებულ გვეო ძლევა მოსილმან  
 დმერთს ვსთხოვ კელთ იგდოს, თუთ ჭინ-  
 დისტანი!

კეთილ სჯანმან და მოწებალმან  
 ძენი, ასულნიც რა განვიგნათლა,  
 დუაწლითა თვისით უხვებით მწემან  
 მეფეთ წინაშე თაფი იმართლა.

რა უნდა უძღუნათ ამ საქმის ნაცვლად,  
 არა რა ძალგვძს, თვნიერ გულის,  
 ზენარს ვევედრნეთ, დღეგრძლად ჭეოს მრ-

შეწირვით მისთვის ჩუტნისა სულის.

მომსწრენი ამა კეთილ დროების,  
 გვმართებს მამულის მსრუნველს ვემონოთ;  
 ვიუვნეთ მორჩილნი და მისის ნების,  
 ორგულნი მტერნი მას დაუძონოთ!

ვიტყუ მე ვითარ შული მამულის,  
 ფრმათა, მოსუცთა, ეს აღვასრულოთ,  
 ერთგულებითის ურთიერთბმულის,  
 ქართველთ თვსება მით დავასრულოთ!

თ. მამუკა ჯ. ორბელიანი.

შავი თვალები.

მე მასსოვსართ შავნო თვალნო მას აქეთ,  
 ოდეს უკვე ემაწვლობდით... მეც გაქეთ,  
 ბრწეინვალებდით ვით ვარსკვლავნი ღამისა,  
 არც ტრფობისთვის და არცათუ განთქმისა.

მე მახსოვხართ იმა ამაო წელში,  
 როს იწოდით ვნებისა ცეცხლებითა,  
 და კოვალვიდით სოფლის ამბოხებაში,  
 მძლედ გულისა მიმსიდველ შვენებითა.  
 აწცა გიმსერ მე მონაწილეობით,  
 მომწონს ღელვა, იცვალა მეუდროებით.  
 რადგან კმა-ხარ სრულის მეუღლეობით  
 მეც ვიხურებ იუო ბედნიერებით!

18 აგვისტოს, 1860 წ. ს. სვედურეთი.

შეკობარნი.

მკითხულობ! კეავს შეკობარნი?  
 მაჩვენე აბა სად არი?  
 რომ გაჭირების დღეშია--  
 იეოს შენთან თანამეუღლარი.  
 განა ჰპოვებ შეკობარსა,  
 რომ იმან შენ ნუგეში გცეს?

როს გსედავდეს ირჩობოდუ,  
 მოსაძუჭლად კელი მოგცეს.

ის უეურებს ეოველს წამსა,  
 თუ გჭირს რაბე დღე კეთილი,  
 მაშინ არის მეგობარი;  
 მაშინ არის ძმა და შვილი.

და თუ ღმერთმა ნუ ინებოს,  
 ბედისა ჩაწხი დაბრუნდა,  
 უმაღ მიწბის, მიწბის მოგორ!  
 უკან მოხედვაც არ უნდა

სად არს ის დრო, იგი ჟამი,  
 ანუ იგი მეგობრობა,  
 როს დამონას ბედის წამი  
 ჭიტიამა ასლად შობა!

დ. ბერიყვი.

1869 წელს.

---

საქართველოს მეფის გიორგის მეათე-  
წამეტის მეფობა.

(განგრძელება.)

კუთლად შევიდა აღამამადხან აბანოსა შინა მეფისასა, სთნდა ფრად შენებულება მისი, რამეთუ იყო იგი მარ- შარიფოსთა, დათლილთა მიერ ქუთათა ნაშენი. და ეგრეთ- კე გაუკვრდა სიკეთე ტფილისისა მის, წულისა რომელნი- ცა სდიან ტფილისსა შინა კლდოვანთაგან ტფილისისათა ბუნებითად ტფილნი, ფრად წმინდანი, ყოკლითურთ აღუძვრეკელნი, და მარგებელნი წყალნი, და რადეც გზისმე განიბანა მას შინა. გარნა ეგრეთცა ეკრა განეკრა მძუნჯარებასა მისსა, და უბძანა შემუსვრად აბანო იგი მე- ფისა: კუთლად შევიდა აღამამადხან საჭურველთა სახლსა შინა მეფისასა, და ეგრეთვე არტილერიისა სახლსა შინა, სადაც იყო ზარბაზანთა ჩამოსასხმელნი მანქანანი, და ყოველნი სახმარნი არტილერიისანი, საჭურჭელნი ყო-

გელნივე წარისვენა, და ეგრეთვე ზარბაზანნი ფრად რჩეულნი, და სწავლულთაგან არტილერიის კულევნიებისათა შთამომსმელნი, და უოკელნი იარაღნი ზარბაზნის ჩამოსასხმელთანი შემესრნა და დასწვნა, და სახლნიცა იგი სრულად დაქცევა, და მოახრჩა. ხოლო არტილერიის მოსამსახურენი, რომელნიცა იგდო კვლად, წარიუკანნა იგინი თავის თანა და ჰატვი მიაზურა მათ, და რომელსამე მათგანთა მოუზოკა ცოლმზლნი მათნი, და ნათესაობანი, და შთაიუკანნა იგინი სატახტოს, და დაწესა იგინი არტილერიისა თუსსა შინა, მისცნა მათ ჯამაგირნი, და საცხოვრებელნი საკმაოდ, და აღუშენა მათ სახლნი და დაადგინა მოხელედ არტილერიის თუსისა ქალაქად თუსდა თეიჩანად.

მხედრობანი სზარსთანი განვიდიან ღამე ტფილისით ბანაკად თუსად, და დღე მოიქცეოდინ, მტყვლან, და ახრებდიან ტფილისსა: მხედრობათაგან აღამაჭმადხანისათა, აღრიცხნეს მომკრედიანი ლაშქარნიელთა (ე. იგი მხედრობის შწერალთა და აღმრიცხულთა) ბრძოლასა შინა და ტფილისისა მოსახლეთაგან მოკლულ იქუეხეს ათ სამეტათასი კაცნი მებრძოლნი სზარსნი.

ოდეს შემოვიდეს იგინი ტფილისსა შინა, შემდგომად რამდენისამ, დღისა, წარგზავნა აღამაჭმადხანმან მხედრობანი სზარსანი კერძოთა ქართლისა და არაგვისათა, მოსტყუენონ აღგილნი მათნი. წარვიდეს ტფილისით, და მივიდეს მცხეთას: ხოლო მცხეთა არს ტფილისით სავიკვი ე ი სამისა საათისა სავალი გზა; მცხეთა (1) არს

(1) მცხეთის კვლესიანა შინა არს დაფლულ ქუჩითი

უკუჩქ მკვლად სატანტო და სამეუფო ქალაქი. და მუნ  
 არის გუბლადეუ კეკლესია სრულიად ივერიისა, და საყდარი  
 საქართველომას პატრიარხთა, და მუნვე არის სასაფლაო  
 მეფეთა. და მეფენი საქართველომას მარადის ჭყოფენ  
 ცხებასა მუნვე; მისრულნი მუნ სპარსნი შევიდეს დიდსა  
 მას შინა, და ყოჯად მშუტნიერსა კეკლესიასა. და ენუ-  
 ხათ სპარსთა დაწვად შინაგანისა მისისა, არამედ არა აუ-  
 თლა იგი ნახნოვნელმან ქანგარლუ ქალიბაღ ხანმან, რომე-  
 ლნიცა ყამსა მას იყო მხედართმძღუანი სპარსთა მათ  
 მუნ მეოფთა, და ჭრქუა: მათ. არა ჯერ არს, სადა იგი  
 არს თაყვანის საცემელი ღუთისა. შეურაც ჭყოფად. და  
 არცა სამარხი შეფთა. და განსდევნა იგინი გარე: მ  
 მაშინ უბძანა მხედრობათა მათ, და აღმხედრეს იგინი.

უფლისა ჩუტნისა იესოს ქრისტესი, რომელიცა ყამსა  
 შიგინს სრულიად ივერიის მეფისასა გამოაჩნდა. ქრისტე-  
 სით მეოფესა შინა ასწლეულსა საუკუნისა დასაბამსა.  
 მცნებითა მას ზედა გუპაროზისა ხისათა, რომელიცა იქმ-  
 ნა პირველად სვეტად კეკლესიისა, წმინდისა ქალწულის  
 ნინას მიერ, რომელმანცა მოაქცია სრულიად ივერია:  
 თუმცაღა შემდგომად ქრისტეს აღდგომისა და ზეცად  
 ამაღლებისა იქადაგა წმინდამან და ყოვლად ქებულმან მო-  
 ციქელმან ანდრია, არამედ ქადაგებული მისი სრულჭყო-  
 წმინდამან ნინა, ასულმან ზაბულონისამან, მოციქულთა  
 სწორმან, და სვეტი იგი აღმოცენებული გუბარისა ზედა  
 უფლისა აღიმართა, და ქმნა მრავალნი სასწაულნი, დ  
 იქმს აწცა საკურკელებათა მრავალთა.

განვლეს მუხნარი და ჭალა, სადაცა არგვი მცხოვრებთა-  
 განნი იყვნეს, არამედ ყოველნივე დაბანი და სოფელნი  
 გახიზნულ იყვნეს. განვლეს ტირიფონა მინდორი იგი  
 მასლობელ გორისა, და მივიდეს პირისპირ ქალაქის  
 გორისა: ხოლო მცხოვრებნი ქალაქისა გორისანი ერთბა-  
 მად განსულ იყვნეს, და შესრულ სახიზართა ადგილთა.  
 მხოლოდ ცხესა შინა გორისსა, რომელიცა არს მა-  
 ლასა შთასა ზედა დაშენებული, სდგეს მას შინა მცვე-  
 ლნი ცხისანი: ადვიდეს სპარსნი მალათა გორათა ზედა  
 კვერნაკისათა, რომელიცა მდებარე არს პირისპირ ქალა-  
 ქისა გორისა, განიმსტერეს შუნით ქალაქი გორი, და  
 უგუნ იქცეს განუმეოვრებულად, მასვე დღესა შინა, და  
 აგრეთვე უგუნმოვლეს გზითა მით, რომელითაცა მიწვე-  
 ნულ იყვნეს მუნ: და რომელნიმე ნაწილნი მხედრობისა  
 მის წარვიდეს სოფლათ და დაბათა შინა შემოასა ქარ-  
 თლისათა, და მიიწივნეს ვიდრე ქალაქად ცხინვალამდე.  
 და ცხინვალის სიხლავესა მისრულნი კჳსლად უგუნ  
 იქცეს, და კერცა ერთსა ადგილსა კერა რაჲ ჭხოვეს, და  
 კერცა თუ კაცი ერთი, გინა პირუტყვ: და მუნით  
 მოქცეულნი შეერთდესვე მხედრობასა თჳსსა, და შთა-  
 მოვლეს დაბანი ჭალასა და სამთავისისანი: ხოლო საყდა-  
 რი ჭალისა მდგომარე, ოდეს იელტოდეს მცხოვრებნი  
 ჭალისანი მათთა შინა, დაშთა მღჳდელსა ჭალისსა და-  
 უკეთულად, რომელსაცა შინა ესვენა ჭჭარი პატროსანი  
 ქმნული მეფისაგან ვახტანგ გორგასლანისა (1) დიდისა

(1) ვახტანგ გორგასლან ცხოვრებდა ქრისტეს მოსკ-

მის და დიდუღულისა ივერთა თუთ მზერობლისა, და და დიდად სახელგანთისა მეფისა და ეგრეთვე სხუანი შიკა-კაღნი ხატნი და ჭრუნი შუგულისა რომელნიმე მათგანნი რქროთა, და თვალებითა ჰატიოსნითა: და საკურველი ესე არს, რომელ არცა ერთი რამ მათ ნივთთაგან და არცა მცირედი რამე საუდრისა მის, არცა აღუყასა ზედა სპარსთასა, და არცა შთამოკლასა ზედა არა წარწემედულ არს: ხოლო რადეს მსედრობამან ამან სპარსთამან განუღეს ჭალა და მუნხარო, და შიწივიკს მცხეთად. და ხუდეს მათ მუნ სხუანი მსედრობანი სპარსთანი. რომელნიცა წინაშე გაუგზავნეს და მამაღმადხანს საგურამოსა კერძოსა, რათამცა მათ ღვენა უუონ მცხოვრებთა ტფილისისათა, და ელებთა მათ ტფილისს ქუჭშეთ მსახლობელთ უსახისა, და მამადინისათა, რომელნიცა შესრულ ივენეს საგურამოს მათთა შინა, რათამცა ზედა დასხმა უუონ მათ, ხოლო მსედრობანი ესე სპარსთანი გაღმით არაგჯს მდინარისა მიწვენულ ივენეს, ვიდრე ცხინვალისა ხიდამდე, და მუნამდე კერავინ ესილვით მცხოვრებთაგანი: და რადეს მიახლოებულ ივენეს ადგილთა მათ ცხინვალისათა, მუნ მისწოდეს იგინი აღისულთანსა მამადილისათა, რომელიცა იუო ჩინებული კაცი, და მეფისა ირავლის მიერ დიდად მტოცეუელი და მისანდო. და იგიცა დიდად ერთგული მეფისა და მამულისა ჩუჭნისა,

ლითგან მესუთესა ასწლელისა საუკუ ესა შინა რომელიცა შერაცხილ არს სრულიად ივერისაგან ერთად ღირსი ხსოვნისა მეფედ, და ყოველითურთ სახელგანად.

უოკლითა კლითა, და კელის ქქსშკითა თხსითურთ უმანო  
 იყენეს ჩქსნნი ძქსლადკუ: მას უმას შეკმისიკკა ბედნიე  
 რება აღისსუღთასსა, რომელ სამასამდე ხეკურანი, ქქს-  
 თანი გაცნი, ხეკურყოით მომავად იყენეს ტოღლისად, რა-  
 თაშცა მივიდეს იგინი, ბრძოლასა აღამამდხნისასა, მეფე-  
 სა ირაკლის თანა. და ვითარცა იხილეს მათ აღისსუღ-  
 თანი ადგილსა მას, ჭკითხეს მას ვითარება საქმისა, და  
 იუწყეს უოკლივე და იხილეს ესეცა, რომელ მხედრობა-  
 ნი სპარსთანი მიეხლნეს მას ადგილსა: მაშინ ერთობლივ  
 რქქსს აღისსუღთასსა, აწამოვედ ჩქსნ თანა ვითარცა  
 მხედართ მძღუანი მეფისა ჩქსნისა, ერთგული, და ჩქსნ  
 ქქსშე კელისა შენისა ვებრძოდე მტერთა. და წარგიქციე-  
 ნეთ იგინი, ხოლო შენ სდეკდა მათ მხედრობით მაგით  
 ცხენოსანით შენითურთ, და დაშოეთ შენ და უოკელი გჳ  
 შენი უგნებულად: » სონდა სიტყუა ესე სულთნისა, და  
 წარუძღვა მხნეთა მათ ხეკურთა, და ჭყქსს ბრძოლა  
 ფიცხელი სპარსთა მიმართ, სპარსნი უკვე იყენეს უშეტეს  
 რთხას ასთა, ხოლო ესენი არა უშეტეს ხუთ ასთა. სძ-  
 ლეს, უკუნ აქცივნეს, და იოცნეს სპარსნი და რომელ-  
 ნიმე მათგანნი მოსრნეს. და რომელნიმე შეიზურნეს და  
 მიუძღუანეს მეფესა, რომელთაცა ანიჭნა მათ ღირსნი  
 ჯილდონი.

ესე ძლეულნი მხედრობანი სპარსთანი და მხედრობანი  
 ქალბაღისანისა კელისა ქქსშე მეოფნი მიიქცეს ბინადვე  
 აღამამდხნისა: უსინოდა ფრიად აღამამდხნის ზედა და-  
 სხმისაგან მეფისა, ამისთვის დაჴე უოკელ იუო იგი დიდსა  
 შინა სიფრთხილესა, და არცა ერთსა ღამესა არა დაუ-

ტყეებდა ატყა ერთს მხედრობათა თვსთავანსა ტფილისსა შინა, არამედ განიყუანებდა ხანავად.

შეუქმან ირაკლიმ მისრულმან მთიულეთს. წარავლინო უოკელთა საბრძანებელსა თვსსა კაცნი, რათამცა განემზადნენ ბრძოლად, და სდაცა აღუნიშნავს მათ შეუქმ შეკრბენ მუნ: კახეთს ჭყუა ძეა ჰიჩმშოა და შემკვლრეა თვსი გიორგი სსხლეულობითა თვსითა, რომელიცა განამზადებდა მხედრობასა კახთასა, ბძანებითა მეფესათა, ხოლო ქართლს ჭყუა სსუა ძეა თვსი იულონ, და განამზადებდა მხედრობასა ქართლისსა: ელადეს უოკელნივე, და უოკელთა ადგილსა მხედრობანი ბძანებასა მეფისსა, რათამცა სდაცა უბძანოს შეუქმან. შეკრბენ მუნ.

მამინ წარავლინა მოციქული აღამამადანის მიმართ ტფილისად თავადო: გან თვსითა სუფრავი ქაიხოსრო კენკია ავადის შუდი ხოლო მოციქულობისა მის სახეა იყო ესრეთ: „უკოთუ განაცხადებ თავსა შინსა კელმწიფედ სზარსკოისად და მშურობელად, რასათვს წარსტყუენგე ქალაქა ჩემი და ტყუედჭყოფ მას შინა მცხოვრებთა რომელთაცა არა რაა შეუცოდებოეს შენდა. და უკოთუ გენება რათამცა ეხვესის საქმენი რაადაცა შესაბამის კელმწიფეთა. შემდგომად ბრძოლისა გმართობდა მცხოვრებთა მიმართ ტფილისისათა მიცემად მძვდობისა, რომელიცა მოსდრეკს უოკელთა ერთს დაზავებად: აწ ისმინენ რეკანი და განზრახვანი ჩემნი და განათვისუფლე მოქალაქენი ჩემნი რომელნი ტყუედ უქმინეს მხედრობასა შენსა: და მამინ განვირახსოთ მძვდობისათვს დაზავის კერ“

